



მასწავლებელი

№5(60).2019

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა



ნათო ინგოროვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიცხვდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგოროვა

რედაქტორები:

მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედაქციის ხელმძღვანელი:

ბერიკა შუკაკიძე,
მანანა რატიანი,
მარიკა სინარულიძე,
ნათა ნაცვლიშვილი

სტილისტი:

ირმა ტაველიძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

მხატვარი:

მამუკა ტყემელაშვილი

კორექტორი:

ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:

მაია ფირჩხაძე, მაია ჯალიაშვილი, თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე, გურამ მეგრელიშვილი, თამთა კობახიძე, ინა იმედაშვილი, ლევან ალფაიძე, ლელა მანგოშვილი, მაია მენაბდე, მეგი კავთუაშვილი, ნესტან რატიანი, ქეთევან კობალაძე, ნათელა ბალათრიშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, გმირ კურსანთთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება იკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მონაცემი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაქციის მიერ შეხვედრულ მასალებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უზუსტობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ჟურნალის ამ ნომერში გადავწყვიტე, მეშვიდეკლასელი გოგონას, პირობითი სახელით ნუცა, წერილი უცვლელად და უკომენტაროდ შემოგთავაზოთ.


7 ოქტომბერი

რას ნიშნავს ჩემთვის სკოლაში სიარული

ჩემი, ამ შემთხვევაში როგორც მოსწავლის, ყოველდღიური ცხოვრება ზუსტად ისეთივეა როგორც საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა მოსწავლის. ვიზარებ იმას, რომ ამ ეტაპზე ჩემი მთავარი მიზანი სწავლაა და ეს მიზანი უნდა შევასრულო. შესაბამისად ყოველდღიურად დავდივარ სკოლაში. არ მიყვარს გაცდენა, დაგვიანება, თუ სერიოზული მიზეზი არ მაქვს, არ ვაცდენ სკოლას, ვსწავლობ, ვისმენ გაკვეთილებს, ვწერ დავალებებს და ა. შ. თუმცა ეს საქმიანობა ჩემთვის უკვე

ახალი ინფორმაციების მიღება და გარდა ამისა, ის პრობლემები, რომლებიც დღეს საქართველოს სკოლებშია.

დიახ, ვფიქრობ, რომ დღევანდელ განათლების სისტემაში ძალიან ბევრი რამაა შესაცვლელი და ზუსტად ვიცი, რომ მოსწავლეებზე უკეთ არავინ იცის სკოლის უარყოფითი მხარეები და ის, თუ როგორი უნდა იყოს სკოლა. რასაც პირველ რიგში შევცვლიდი, მე რომ წარმოვადგენდე გადაწყვეტილების მიმღებ პირს, ყოველდღიურ უკუკავშირს



მოსაწყენ რუტინადაა ქვეული და იმ საგნების სწავლება, რომელიც ზუსტად ვიცი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ არ გამომადგება, მულამს ვერ ვუჭერ, თუმცა მაინც ვსწავლობ.

მიუხედავად ყველაფრისა, სკოლაში ბევრი საინტერესო რამ ხდება – ყოველდღიური ინტერაქცია ადამიანებთან,

მივიღებდი მოსწავლეებისგან და გავიგებდი, როგორი სკოლა სურთ მათ.

მოსწავლის გადმოსახედიდან კი ვიტყვი, სკოლაში ბევრი ისეთი რამ ისწავლება, რომელიც სკოლის დამთავრების შემდეგ, თუ იმ სფეროს არ გაყევი, საერთოდ არ დაგჭირდება და ეს ინფორმაცია აზროვნების განვითარებაში

არ გვეხმარება. და ამ დროს ყურადღების გარეშე რჩება ის საგნები თუ საკითხები, რომლებიც ცხოვრებაში აუცილებელია. მაგალითად, მოქალაქეობა, რომელიც დღემდე მეასხეარისხოვან საგნად ითვლება. ტოლერანტობა, რომელიც მჯერა, რომ ისწავლება. ასევე პირადი ჯანმრთელობა, ფულის მენეჯმენტი, კარიერის დაგეგმვა, პროფესიის სწორად შერჩევა, ადამიანის უფლებები.

მთავარი – მიმაჩნია, რომ ლიტერატურის დაზოგვა და ლექსების დაზოგვა არაა საჭირო, არამედ ეს ნაწარმოები უნდა იყოს გამოყენებული აზროვნების, შეფასების, კრიტიკული და ანალიტიკური ჩვევების გამოუმუშავებისთვის. შესაბამისად, მოსწავლეებს კი არ უნდა გვავალებდნენ ლექსების დაზოგვას, მოთხრობების მოყოლას და ა. შ., არამედ უნდა გვეხმარებოდნენ გაანალიზებაში, გააზრებაში და შემდეგ უნდა მიმდინარეობდეს დისკუსიები და მსჯელობა პერსონალებზე, ნაწარმოებში მომხდარი სიტუაციის ირგვლივ და ა. შ., რადგან გავა დრო და ის ლექსები და მოთხრობები აუცილებლად დაგვაფიქვდება, მაგრამ აუცილებელია დაგვრჩეს და ვისწავლოთ ლოგიკური აზროვნება, რომელიც ცხოვრებაში აუცილებელია.



ინტერვიუ

4

ნატო ინგოროცვა
**მიხაილ ბატიაშვილი:
„ბანკოთაჩაბა თაჟისუფლაშა,
თაჟისუფლა – ბანათლაშა!“**

ჩვენი მოსწავლეები გვაჩვენებენ თავისუფლების მაგალითებს, მასწავლებლებიც, ცხადია. ჩვენც უნდა ვაჩვენოთ, თუკი ამის საჭიროებას ვხედავთ. თავისუფლება არჩევანია და მდგომარეობა. ჩვენ ამ არჩევანს და მდგომარეობას ვუსურვებთ როგორც სხვებს, ისე მეტ თავისუფლებას საკუთარ თავსაც.



ჩაუხარსი

54

ქეთევან კობლაძე
სწავლის სწავილი და სანაწავლო ახმოსაჩარი

სწავლის სურვილი ძლიერდება, როდესაც მოსწავლეები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს და ხვდებიან, რომ მასწავლებლებისთვის სულ ერთი არ არის ის, თუ რა ხდება მოსწავლეების თავს. მოტივაცია, შემოქმედებითობა და სწავლის ხარისხი ოპტიმალურია, როდესაც იძულება, შიში მინიმუმამდეა დაყვანილი, ხოლო ნდობისა და ინდიფერენტულობის ხარისხი მაქსიმალურია.

ბამოსილა

10

მაია ფირჩხაძე
**მოსწავლის პიროვნული განვითარების
ხელშეწყობი საბაკვეთილო აქტიუობები**

რადგან სწავლების ძირითადი საფუძველი გაკვეთილია, სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროა საგაკვეთილო მიზნის სწორად დასახვა. არსებობს რამდენიმე მიდგომა, რომლებიც ეფექტურია მოცემული შემთხვევისთვის და ინფორმაციისა და ცოდნის დაგროვებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული თვისებების ფორმირებას.

16

თამთა დოლიძე
**როგორ შევადგინოთ სანაწავლო
ბაკვეთილის ბაგვა**

სარემედიაციო პროგრამის არსიდან გამომდინარე, სასურველია, გაკვეთილის მიზანი იყოს მოკლევადიანი და რეალისტური. რაც შეეხება აქტიუობებს, ისინი ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდნენ და დასახულ მიზანს ეხმიანებოდნენ.

20

ნინო ლომიძე
„ვაგონის დილა“

ლიტერატურის გაკვეთილებზე ხშირად ისმის ხოლმე ასეთი კითხვები. პერსონაჟების ქმედებისა და მათი ხასიათის შესახებ მსჯელობისას მოსწავლეები თანაგანიცდიან ამა თუ იმ მორალურ სიტუაციას, ცდილობენ არსის წვდომას, პასუხების მოძიებას.

23

გურამ მეგრელიშვილი
მასწავლებლის სწავლება და შეხლოება

ყველა ადამიანს ჰგონია, რომ მისი შრომა ისე არ ფასდება, როგორც იმსახურებს. მოსწავლეებს განსაკუთრებით ედარდებათ ხოლმე დაბალი ნიშანი. არ დაიზაროთ და დეტალურად აუხსენით ბავშვებს, რატომ უწერთ დაბალ ქულას.

32

ინა იმედაშვილი
**შენ ეს შეჰქალი! – ჩემი ბაკვაანი
მასწავლებლის ერთი მნიშვნელოვანი მიგნება**

თუ ჩვენს კლასში შემზღვეული შესაძლებლობების ან განსხვავებული ქცევის, ფერის, მრწამსის, ეროვნების მოსწავლე სწავლობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მოგვიწევს ჩვენი შემოქმედებითი უნარები კიდევ უფრო გავაქტიუროთ და ისეთი გარემო შევქნათ, სადაც, ვინც უნდა იყოს და როგორც უნდა იყოს, თავს კომფორტულად და მშვიდად იგრძნობს.

50

ნათელა ბაღათრიშვილი
**მოსწავლეა ონიანსიჩაბალი
სწავლების ასაკუხები**

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობისა და სასურველი შედეგების მისაღებად მნიშვნელოვანია მასწავლებელთა მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის დროს მუდმივად იყოს გათვალისწინებული ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები.

მოსაზრება

13

მაია ჯალიაშვილი
თვითგანახლება – სასკოლო განათლების
მასწავლებლისთვის

ყოველთვის იქნება საზრუნავი პედაგოგთა კვალიფიკაციის გაუმჯობესება და სწავლა-სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნება, სასწავლო დაწესებულება-თა თანამედროვე, გლობალური ცვლილებებისთვის მისადაგება.

საგანმანათლებლო ჩესურსი

26

თამთა კობახიძე
სკოლის განთავსება განვითარება

რეფორმა, რომელიც არ ითვალისწინებს სისტემის სხვადასხვა დონეზე დასაქმებული ადამიანების ინტერესებს, ფუჭია.

34

ლევან ალფაიძე
ჩა აჩის განათლება?

მნიშვნელოვანია, რაღაც მომენტში შევჩერდეთ, დავივიწყოთ სტანდარტული ტესტები, დისკუსია მოსწავლეთა ნიშნებსა და მასწავლებლების შეფასებებზე და დავფიქრდეთ განათლების მნიშვნელობაზე, მის შინაარსზე.

37

ლელა მანგოშვილი
როგორ დაკვირვოთ კითხვის სინთუზაჟი
საჩივრის დამსახურების დახმარებით

მოსწავლეთა კითხვის პრობლემები სხვადასხვა მიზეზით არის განპირობებული: მეტყველების, სმენის, ფონემური ცოდნის უქონლობით და სხვა. ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების ადრეულ ასაკში გამოვლენა და მოგვარება.

40

მაია მენაბდე
როგორ ვასწავლო ჰაბიტიზაცია

პროექტებით სწავლება ძალიან ეფექტიანი და ეფექტურიც რომაა, ბევრ უნარს ერთობლივად რომ ავითარებს, ახალ ინტერესებს რომ უღვივებს ბავშვებს და შესაბამისად, მათი აყოლიებაც ადვილია, ამხზე აღარ კამათობენ.

ინტერნეტგაზეთი
WWW.MASTSAVLEBELI.GE

განათლება -
თავისუფლებაა!

ინტერნეტგაზეთი
WWW.MASTSAVLEBELI.GE

27-30

ალექსანდრე ლორთქიფანიძე
შვილის ნაკრებისთვის
აქ აღმოჩენილი არ არის

მაკა ლდოკონენი
„თუ გიჟი ხარ შვიცხვარა ესეთი
მასწავლებელი!“

ბექა ახალაია
სასკოლო ექსპერტიზის ანგარიში

ირმა კახურაშვილი
ჩა არ უნდა გააკეთოს
დამსახურება მასწავლებელმა

მოსაზრება

43


მეგი კავთუაშვილი
ბავშვის თვითშეფასების ანგარიშის
ფორმულა და განხილვა

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ბავშვებს სკოლაში სიარული ეზარებათ ან არ უყვართ, არის ის, რომ მათი თვითშეფასება იმ გარემოში დაბალია. სადაც თვითშეფასება დაბალია, ბავშვი ბუნებრივად ცდილობს, გაეცალოს, გაერიყოს გარემოს.

46

ნესტან რატიანი
ჩაფრთხილების დრო!

მასწავლებელიც ადამიანია და მასაც შეიძლება წამოსცდეს (ან მიზანმიმართულად გამოიყენოს) გავითილზე ბარბარისმი, სლენგი, უცნაური სიტყვაც კი. მაგრამ კარგი მასწავლებელი ის მასწავლებელია, რომელიც შეეუბნება ამ წამოცდენის გამო, აღიარებს, რომ არ იყო მართალი და შეეცდება, მომავალში მაინც გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.



მიხეიდ ბატიაშვილი: „ბანკითარება თავისუფლებაშია, თავისუფლება – ბანკითარებაში!“

ჟურნალ „მასწავლებლის“ კითხვებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის მინისტრი მიხეიდ ბატიაშვილი პასუხობს.

წელიწადი და ოთხი თვეა, ჩვენი ქვეყნის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ბრძანდებით. თითქმის ამდენივე დრო გავიდა ჩვენი პირველი ინტერვიოდან. იმ შეხვედრისას, როცა გკითხეთ, რატომ დათანხმდით განათლებისა და მეცნიერების მინისტრობას, ერთი ამბავი მომიყვიეთ – პატარა ბიჭზე, სანდროზე, რომელმაც კითხვაზე, უხაროდა თუ არა სკოლაში წასვლა, გიპასუხათ, ისეთი ბავშვი, სკოლაში წასვლა რომ უხაროდეს, არ არსებობსო. ახლა მინდა გკითხოთ: ის ბიჭი ისევე რომ შეგხვდეთ, როგორ ფიქრობთ, იგივე განწყობა ექნება თუ ცოტა უკეთესი?

ალბათ ბევრი ასეთი პატარა სანდრო გვყავს. ძალიან ვცდილობთ, ბავშვებს სკოლაში წასვლა მართლა აბედნიერებდეთ. ამ ბედნიერების მიზეზი უნდა იყოს სასკოლო გარემო – კომფორტული, უსაფრთხო, ისეთი, სადაც ბავშვები ხალისით და ინტერესით ისწავლიან. როგორც განათლების სპეციალისტები და ფსიქოლოგები ამბობენ, ნეგატიურ გარემოში ეს ვერ მოხდება. როცა გარემო დაძაბული და უინტერესოა, ცოდნის ათვისების დონე ეცემა.

მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო ცხოვრება, მათ შორის, თითოეული გაკვეთილი იყოს საინტერესო. კლასში უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება ბავშვებში. პროცესები,

რომელიც ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს, უფრო საინტერესოს ხდის თითოეულ გაკვეთილს. ბავშვები ხდებიან აქტიურები, მუშაობენ გუნდურად, მსჯელობენ, მათთვის გაკვეთილი არ არის მოსაბეზრებელი.

რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ სკოლაში წასვლით და ცოდნის მიღებით ბედნიერი ბავშვი გვენახა?

ამისთვის, როგორც გითხარით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაფერისი სასკოლო გარემო, გამართული ინფრასტრუქტურა, რომლის გარეშეც ჩვენს საუკუნეში არათუ სკოლა, ვერც ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტი ვერ იფუნქციონირებს.

ბოლო ერთ წელიწადზე თუ ვისაუბრებთ, 700-მდე სკოლაში გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა: ზოგან გადახურვის პრობლემა იყო, ზოგან – სველი წერტილების... თუმცა ბევრი რამ მოსაგვარებელი დარჩა. იმისთვის, რომ ნებისმიერ რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურა გექონდეს, 3-4 წელი მაინც დაგვჭორდება.

უამრავი კვლევა აჩვენებს, რა ძლიერ გავლენას ახდენს გარემო ცოდნის მიღებაზე, საზოგადოდ, შრომის ნაყოფიერებაზე. მოხარული ვართ, რომ მომავალი წლისთვის განათლების ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება.